

როგორ გამოვიყენოთ პროექტორი

პროექტორის გამოყენების უნარი იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად პროფესიულად ატარებთ მეცადინეობებს. ქვემოთ მოყვანილი რჩევები დაგეხმარებათ პროექტორის მაქსიმალური ეფექტურობით გამოყენებაში.

1. **იცოდეთ პროექტორის თავისებურებანი.** იმ შემთხვევაში, თუ თქვენ საკუთარ პროექტორს მოიტანთ, ეს რჩევა არ დაგჭირდებათ. მაგრამ, თუ ახალ აუდიტორიაში მოგიწევთ მუშაობა, მაშინ ღირს დროის დახარჯვა ახალ პროექტორთან მუშაობის შესასწავლად. ნუ მოგერიდებთ, დახმარებისათვის მიმართეთ პერსონალს.
2. **სწორად ამოარჩიეთ ადგილი პროექტორისთვის.** თქვენი მიზანია – დარწმუნდეთ იმაში, რომ სტუდენტი კარგად ხედავს ეკრანს (და არა თქვენს ზურგს). მეცადინეობის წინ ჩართეთ პროექტორი და შეამოწმეთ, რომ ყველა ადგილიდან კარგად ჩანს გამოსახულება.
3. **იყავით მზად პრობლემებისათვის.** თუ პროექტორში ნათურა გადაინვება, სათადარიგო იქონიეთ, ან წინასწარ გაარკვიეთ, ვის უნდა მიმართოთ დახმარებისთვის.
4. **თუ პროექტორი მანძილს გაუფუჭდა.** სათადარიგოდ ყოველთვის იქონიეთ ორი-სამი დავალება, რომელიც პროექტორის გამოყენებასთან არ არის დაკავშირებული.
5. **გამოსახულების პროექცია მოახდინეთ ეკრანის ზედა ნახევარზე.** თუ გამოსახულებას განვალაგებთ ისეთნაირად, რომ იგი მოექცეს ეკრანის ზედა მხარეს, ინფორმაციის მთავარი ნაწილი იქნება კარგად დანახული და აღქმული თქვენი სტუდენტების მიერ.
6. **ეცადეთ არ გამოიყენოთ დაბეჭდილი ტექსტი.** თუ მანძილზე იძულებული ხართ ბეჭდვითი ტექსტი გამოიყენოთ, მაშინ გაითვალისწინეთ, რომ უკეთესად და მკაფიოდ გამოჩნდება ტექსტი, რომელიც არის აკრეფილი 18, 24, ან სულაც, 36 ზომის კველით. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შედეგიანი თქვენი ძალისხმევა.
7. **იყავით ლაკონური.** კარგი სლაიდი შეიცავს მხოლოდ მთავარ იდეას, და არა დეტალებს. იმის შემდეგ, როდესაც თქვენ განიხილავთ ძირითად იდეებს, რომელიც მოცემულია სლაიდზე, შეგიძლიათ დაამატოთ დეტალები და მხოლოდ ამის შემდეგ ჩამოწერეთ ახალი იდეები დათაზე ან F ფლიპჩარტზე.
8. **“ინფორმაციის მატარებელი, თავისთავად, ინფორმაციულია”.** პროექტორისთვის განკუთვნილი მასალის მაღალი ხარისხი შემატებს მათ ეფექტურობას. თუ სლაიდები შესრულებულია პროფესიულად, მათზე გამოსახული ინფორმაცია უფრო უკეთესად აღიქმება. იმ შემთხვევაში თუ, მეცადინეობა ეძღვნება ძალიან მნიშვნელოვან თემას, მაშინ სჭობია მოამზადოთ ფერადი სლაიდები.
9. **არ დაგავიწყდეთ პროექტორის გამორთვა.** ნებისმიერი პროექტორი გამოსცემს ხმას, თუნდაც არც ისე შესამჩნევს. თუ მოცემულ მომენტში იგი არ გჭირდებათ, იზრუნეთ იმაზე, რომ ხმაურმა არ მიიპყროს თქვენი სტუდენტების ყურადღება.
10. **სტუდენტებს შესაძლებლობა მიეცით აწარმოონ აუცილებელი ჩანაწერები.** იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებს არ ურიგებთ სლაიდზე გამოსახულ ინფორმაციას, მანამ, სანამ გამოცვლით სლაიდს, დარწმუნდით, რომ ყველამ დაამთავრა წერა.